



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/40-12

29 მარტი, 2012 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ნატალია ნაზლაიძე
მოსამართლეები - ქეთევან მესხიშვილი, ნათია გუჯაბიძე

სხდომის მდივანი - ეკატერინე წიკლაური

აპელანტი – გ. შ., ჯ. მ., ტ. მ. და მ. ც.

წარმომადგენელი – ნ. კ. (გ. შ.-ს წარმომადგენელი), ტ. მ.-ს კანონიერი წარმომადგენელი –
ჯ. მ., მ. ც.-ს კანონიერი წარმომადგენელი – მ. შ.

მოწინააღმდეგე მხარე – მ. პ.

წარმომადგენელი – ა. ს.

დავის საგანი – უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილებისა და ამავე სასამართლოს 2011 წლის 19 ოქტომბრის საოქმო განჩინება

1. აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და ამავე სასამართლოს 2011 წლის 19 ოქტომბრის საოქმო განჩინების გაუქმება, სარჩელზე საქმის წარმოების შეჩერება

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

მ. პ.-ს მიერ გ. შ.-ს, ჯ. მ.-ს, ტ. მ.-ს და მ. ც.-ს მიმართ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა:

მოპასუხეთა მფლობელობიდან მ. პ.-ს კუთვნილი, თბილისში, ლ.-ს ქუჩა NXXX-ში მდებარე უძრავი ნივთის (დაზუსტებული ფართობი 175 კვ.მ, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 176,33 კვ.მ) გამოთხოვა.



გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. პ.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა. გ. შ.-ს, ჯ. მ.-ს, ტ. მ.-ს და მ. ც.-ს უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა უძრავი ნივთი მდებარე თბილისში, ლ.-ს ქუჩა №XXX-ში (დაზუსტებული ფართობი 475 კვ.მ, შენობა-ნაგებობა საერთო ფართი 176.33 კვ.მ) და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მ. პ.-ს.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

საქმეზე დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. გ. შ., ჯ. მ., ტ. მ. (არასრულწლოვანი) და მ. ც. (არასრულწლოვანი) ამჟამად ცხოვრობენ სადავო ბინაში;

2.2. მ. პ. წარმოადგენს თბილისში, ლ.-ს ქუჩა NXXX-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეს (475 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX და მასზე განთავსებული 173.33 კვ.მ შენობა-ნაგებობა). საკუთრების საფუძველია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2008 წლის 02 ოქტომბრის N 01/08 -146 განკარგულება.

2008 წლის 09 ოქტომბრის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, მ. პ.-ზე იგივე სარეგისტრაციო კოდით იგივე სააღსრულებო განკარგულების საფუძველზე აღრიცხული იყო 475 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობები 75.94 კვ.მ საერთო ფართით, საცხოვრებელი ფართი 31.94 კვ.მ. , სარდაფი 25.02 კვ.მ.

დასახელებული გარემოებები დადასტურებულად იქნა მიჩნეული ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან (ტომი 1-ლი, ს.ფ. 10, 19-20);

2.3. გ. შ.-ს, ჯ. მ.-ს, ტ. მ.-ს და მ. ც.-ს არა აქვთ თბილისში, ლ.-ს ქ. NXXX-ში მდებარე სადავო ნივთის ფლობის უფლება.

სასამართლოს მითითებით, მოპასუხეებს ნივთის ფლობის უფლების დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარუდგენიათ, მხოლოდ მითითება, რომ საჯარო ჩანაწერის მიხედვით მ. პ. არასწორად არის 173.33 კვ.მ. ფართის მესაკუთრედ აღრიცხული, არ არის საკმარისი. საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია, სანამ არ იქნება მისი საწინააღმდეგო დადგენილი (სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი).

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელშეკრულებო შებოჭვის



ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

სასამართლოს განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნა უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ წარმოადგენს ვინდიკაციურ სარჩელს, რომელსაც მესაკუთრე მაშინ იყენებს, როდესაც მისი ქონება უკანონო მფლობელის ხელშია, როდესაც მესაკუთრეს ელახება უფლება საკუთარი ნივთის ფლობისა და სარგებლობისა, აღნიშნულ ურთიერთობას კი აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად სამი პირობის არსებობაა აუცილებელი იმისთვის, რომ მოსარჩელემ მოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა:

1. მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე,
 2. მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი,
 3. მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.
- სადავო შემთხვევაში სამივე პირობა სახეზეა.

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება ერთადერთ მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებლის გარდა არსებობს სხვა თანამესაკუთრე.

სასამართლოს მითითებით, მ. პ., საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, წარმოადგენს სადაო უძრავი ნივთის მესაკუთრეს, ხოლო მოპასუხეებმა ვერც ამის საწინააღმდეგო დაამტკიცეს და ვერც ის გარემოება, რომ აქვთ სადაო ნივთის ფლობის უფლება.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

გადაწყვეტილება გაასაჩივრეს გ. შ.-მ, ჯ. მ.-მ, ტ. მ.-მ და მ. ც.-მ სააპელაციო საჩივრით, მოითხოვს მისი შეცვლა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. სააპელაციო საჩივარი ემყარება შემდეგ გარემოებებს:

ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები



თბილისში, ლ.-ს ქუჩა NXXX-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეა გ. შ., რაც დასტურდება საქმეში არსებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 18 აგვისტოს განჩინებით. მ. პ. აღნიშნული ქონების მესაკუთრედ დარეგისტრირდა კანონის უხეში დარღვევით, რაზედაც გ. შ.-ს წარდგენილი აქვს სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. სარჩელით სადავოდ არის გამხდარი 2006 წლის 13 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დადებული მ. შ.-ს და მ. პ.-ს შორის, ვინაიდან მ. შ. არ იყო ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი პირი.

მ. პ.-მ სადავო ხელშეკრულებების საფუძველზე თავისი ინტერესები დაიკმაყოფილა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მ. შ.-ს მიმართ. საარბიტრაჟო პრეტენზია და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მ. შ.-ს არ მიუღია, საარბიტრაჟო მასალები განადგურებულია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კი გასაჩივრებულია გ. შ.-ს მიერ.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

ფაქტობრივი დასაბუთება

4.1. თბილისში, ლ.-ს ქუჩა NXXX-ში მდებარე 475 კვ.მ ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 176,33 კვ.მ შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX) მესაკუთრეა მ. პ.

დასახელებული გარემოება დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით (ტომი 1-ლი, ს.ფ. 10). საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს



თბილისის სააღსრულებო ბიუროს განკარგულება N01/08-146, დამოწმებული 2008 წლის 02 ოქტომბერს.

4.2. გ. შ., ჯ. მ., ტ. მ. და მ. ც. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობენ მ. პ.-ს კუთვნილ უძრავ ქონებას მდებარე თბილისში, ლ.-ს ქუჩა NXXX-ში (475 კვ.მ ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 176,33 კვ.მ შენობა-ნაგებობი, საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2008 წლის 09 ოქტომბრის მდგომარეობით მ. პ. საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო თბილისში, ლ.-ს ქუჩა NXXX-ში მდებარე 475 კვ.მ ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის საერთო ფართით 75.94 კვ.მ (საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX) მესაკუთრედ.

2010 წლის 29 იანვრის მდგომარეობით საჯარო რეესტრში მ. პ.-ს სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულია 475.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 176.33 კვ.მ.

აპელანტები მათ მიერ დაკავებულ უძრავ ქონებაზე თავიანთ უფლებას ასაბუთებენ მ. პ.-ს უფლების წარმოშობის უკანონობასა და ამ უფლების გაუქმების წინაპირობებზე მითითებით, თუმცა შესაბამისი ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარდგენილი არ ყოფილა.

დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს, რომ მთლიანი შენობა მდებარეობს საჯარო რეესტრში მ. პ.-ს სახელზე რიცხულ 475.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. დადგენილია, რომ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას უძრავ ქონებაზე განხორციელებული იყო მიშენება-დაშენება (მოპასუხეების მიერ სადავოდ ქცეული ფართი), რომელიც არ ყოფილა აღრიცხული საჯარო რეესტრში. პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას მოპასუხეთა მცდელობა მიმართული იყო იმისაკენ, რომ დაესაბუთებინათ მიშენებულ ნაწილზე მოსარჩელის არაუფლებამოსილება. მოპასუხეებმა ვერ შეძლეს ვერც ერთი მტკიცებულების წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებდა სადავო ქონებაზე მათი ფლობის უფლების არსებობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

სამართლებრივი დასაბუთება

4.3. პალატა თვლის, რომ სრულიად მართებულია საქალაქო სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტა სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლებზე დაყრდნობით. დასახელებული მუხლების თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჰვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.



მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

ვინდისკაციური სარჩელის საფუძვლიანობა მოწმდება იმ გარემოებათა შეფასებით, არსებობს თუ არა მოსარჩელის საკუთრების უფლება ნივთზე და იმყოფება თუ არა ეს ნივთი სხვა პირთა არამართლზომიერ მფლობელობაში, ანუ ხორციელდება თუ არა მფლობელობა საამისო უფლების გარეშე. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს სადავო ნივთზე გააჩნია საკუთრების უფლება და იგი არ არის შეზღუდული მოპასუხეთა მხრიდან ამ ნივთის ფლობით, რადგან მოპასუხეები არ წარმოადგენენ სამოქალაქო კოდექსის 160-162-ე მუხლებით დაცული უფლების მქონე პირს – მართლზომიერ მფლობელებს. კანონი იცავს ნივთზე არა ყოველგვარი ბატონობით განხორციელებულ მფლობელობას, არამედ მხოლოდ მართლზომიერ მფლობელობას, რომლის არსებობაც მოპასუხეებმა სასამართლოს ვერ დაუდასტურეს კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათუ უზუსტობა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის სახელზე სადავო უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული ჩანაწერი მისი საკუთრების უფლების შესახებ გაუქმებული არ არის. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით დადგენილი საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე არის სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრე და ითხოვს ბინის მოპასუხეთა მფლობელობიდან გამოთხოვას. ამ შემთხვევაში არსებობს სავინდისკაციო სარჩელის დაკმაყოფილებისათვის საჭირო ფაქტობრივი გარემოებები: მ. პ. წარმოადგენს უძრავი ქონების მესაკუთრეს, უძრავი ქონება მოპასუხეთა მფლობელობაშია და მოპასუხეებმა ვერ დაადასტურეს ქონების ფლობის მართლზომიერება.

4.4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისაგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

მოცემულ შემთხვევაში განხილვის საგანია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 ოქტომბრის საოქმო განჩინება, საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო საჩივარი აღნიშნული განჩინების გაუქმების შესახებ დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა



შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

„საქმის განხილვის შეუძლებლობა“ წარმოადგენს ისეთ ობიექტურ სირთულეს ან დაბრკოლებას, რომელიც გულისხმობს ისეთ გარემოებებს, რომლის დადგომა არის განპირობებული მართლმსაჯულების განხორციელების დამაბკოლებელი ფაქტორებით. კონკრეტულ შემთხვევაში, გ. შ.-მ საქმის წარმოების შეჩერება მოითხოვა მის მიერ მ. პ.-ს, მ. შ.-ს, მ. ზ.-ს, თ. ც.-ს, ნ. შ.-ს და შპს „ა. XXX“-ს მიმართ წარდგენილი სარჩელის განხილვამდე, რომლის საგანია ნასყიდობის, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებათა ბათილად ცნობა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ამონაწერის გაუქმება და თბილისში, ლ.-ს ქუჩა NXXX-ში მდებარე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენა (ტომი 1-ლი, ს.ფ. 205- 224-233). დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით გ. შ.-ს უარი ეთქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, ასევე – აუქციონის შედეგების გაუქმების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, საჯარო რეესტრის ამონაწერის გაუქმების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, რაც შეეხება სარჩელს ნასყიდობისა და სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და სადავო ქონებაზე გ. შ.-ს საკუთრების უფლების აღდგენის შესახებ, დაუდგინდა ხარვეზი (ტომი 1-ლი, ს.ფ. 227-233). სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დგინდება კანონით გათვალისწინებული ისეთი შემთხვევა, რომელიც მიჩნეული უნდა იქნეს მოცემული საქმის გამოკვლევის შეუძლებლობის განმაპირობებელ ობიექტურ სირთულედ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 ოქტომბრის საოქმო განჩინებით მოპასუხეებს მართლზომიერად ეთქვათ უარი საქმის წარმოების შეჩერებაზე.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

პალატა თვლის, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, შესაბამისად, პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ასკვნის, რომ იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

6. საპროცესო ხარჯები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო ხარჯების გადახდაზე ვალდებულ პირებს წარმოადგენენ აპელანტები, ვინაიდან გადაწყვეტილება გამოტანილია მათ წინააღმდეგ. მოცემულ შემთხვევაში აპელანტები



გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან (პალატის 2012 წლის 13 იანვრისა და 2012 წლის 31 იანვრის განჩინებები).

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

და ა დ გ ი ნ ა

1. გ. შ.-ს, ჯ. მ.-ს, ტ. მ.-ს და მ. ც.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. აპელანტები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში დასაბუთებული ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით.

თავმჯდომარე

ნატალია ნაზლაიძე

მოსამართლეები

ქეთევან მესხიშვილი

ნათია გუჯაბიძე